

საქართველო

№ 1

ფასი: წლიურად 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., კვარტალურად 3 მ., კვირურად 1 მ. 50 კ. მ. წლიური ხელის მომწოდებელს გაზიარებული ნაწილი წლიურად გადაიხადონ. ხელის მოწოდების დროს 5 მ., და ნარჩენი კიდევ ნაწილი წლიურად. განცხადების დროს: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პერიოდით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებთა ფასი: სტრიქონი პერიოდით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოეული ნაშუადღევს 2 საათ. ღირს 8 მ., 2 საათს შუამდგომ. 4 მან.

№ 125 ყოველდღიური საკომლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 125

ტელეფონი № 76.

სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლებს სხვაზედა, ორივე ტკბილია ძმობილო, მირჩენის ორსვე თვალზედა, როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა

ტელეფონი № 76.

განცხადება.

ქუთაისის ზირველი და მესამე უმაღლესი ზირველდაწყებითი სასწავლებლებში და ზედაგოგოურ კურსებზე განმეორებითი განმეორება დანიშნულია პის აგვისტოს, ხალხი სასწავლებლებში მისაღები გამოცდები 27-ს და კურსებზე კი—31-ს აგვისტოს. სწავლა დაიწყება 7-ს აგვისტოს. 2—1.

გუშარაგს ხრამილის მადნაშენი ფაქისი მ. შორაშორაძის საგარეო დირექტორი.

ა ბ ა ნ ი.

ახანა მდებარეობს მდლობ ბუნებით შექმულ მთის ჰეაღზე და, როგორც სამდობლად გამოირჩევა, კურსავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავთომეოფობას: ქარკას (რეე მატისმს) სხვადასხვაგვარ მუწუკს, სუმაწვიდობებს, ნურეების სისუსტეს, ჩაულოდელ ციკას (მადრინას), კუჭის ტკივალს, ვენერულ ავთომეოფობას, ეგზემას, სისიფინს და სხვა. წყალი მიადება ცივი და თბილიდ. სრესილში იმეოფობა მუდმივი ექიმო, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარეგებისათვის, არის სუფთა საკუთარი ვანება, სუფთა ბინა და სასმელ-საშუკელი. ფასები უფოდდებულე ძლიერ ზომიერია. ახანა მდებარეობს სადგურ „სურნა ვოლში“. სრესილში სადგურია მატარებლის განაწერებათ. სადგურიდან 150 სუქნია ახანამდი. ქუთაისის სადგურზე მოთხროვეთ ბილეტები სადგურ სრესილის „სტანცია სურნა ვოლში“. ქუთაისიდან მატარებელი გადის დილის შუადის ნახევარზე, დასრუნდება სადამობით.

განცხადება. ღამით, 2 ივლისს ქუთაისიდან აჯამეთს შუა დავკარგე თბილისის მატარებელზე, პორთფელი, რომელშიაც იყო: ორი ვეჭაილი ასას თუნინი, ჩემი პირადობის მოწმობა, ათი თუნის კვიტანცია თბილისის ხაზინისა და სხვა წერილები. მზავენელს ვთხოვ უმოჩინოვს და აღნიშნული პორთფელი დოკუმენტებით მოიტანოს, ან გამოგვიგზავნოს გაზ. „სამშობლოს“ რედაქციაში ქ. ქუთაისში. 10—5 სიმონ სიკას ძე ვადაძე.

ერქომაიზვილისა და ამს. რომელიც ომიანობის გამო დროებით გადმოვიდა სოხუმიდან, ამ მოკლე ხანში ისევე აპირებს გადასვლას. ამის გამო ყოველგვარი საქონელი მყიდველ საზოგადოებს დაეთმობა ძლიერ ხელმისაწვდომ ფასებში. 10—5 ჰატევისტეშით ფ. ა. ერქომაიშვილი.

გრიუსელის უნივერსიტეტის სწავლა დამთავრებული მართვმლი ძალი
ასწავლის და ამზადებს ორეუე სქესის მოწაფეებს **ურანგულ მნას.**
პირობების შეტყობა შეიძლება „სამშობლოს“ რედაქციაში დილის 9 ს. 12 საათამდე.

გაბრიელ იოსების ძე ექიმი გოკიელის
ელმეტრონისა და სინათლის კაბინეტი.
შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავთომეოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 9—8 საათ. ადექსანდრეს ქუჩა, საკუთარი ხასხა.

დოქტორი მედიცინისა, პრივატ დოცენტი ვარლამ პავლეს ძე მოსნაშვილი
8 მაისიდან მიიღებს ავთომეოფების დილის 8 საათიდან ნაშუადღევს 2 საათამდის და ნაშუადღევს 5 საათიდან საღამოს 8 საათამდის. გომბიტის ქუჩა, მოსეშვიდის სახლი, ხაზინის პირდაპირ № 6.

ექიმი რალიზიონი დაბრუნდა და განახლა ავთომეოფების (ქირურგიულ და ქალურ ავთომეოფთა) მიღებათაგის ძველ ბინაზე. ავთომეოფების მიღება—დილის 12 საათიდან 2 სათამდე. თ.

ელექტრო „რალიზი“ თეატრი საზაფხულო რანობაში.

ხუთშაბათიდან 9 ივლისიდან, ნახევრები იქნება სურათი:

ლუიზიანის დელუკა, ანუ მილიარდების სიკვდილი.

Кутаисская женская гимназия (Зарьный участок, Месхетская улица)
სიმბ ახვავილეთ, ცხე პრედსთაიგო 1915-16 უჩე. გოდა პრინაზვანიი გიმნაზიი ოტკრავთაყს მლადშეე და აზბუჩნე ოტდელენია პრეტოვიტელნაი გლასა, ა პრი VIII დოპოლნიტელნომ კლასჩ კრომჩ სპეციალნოსი „რუსსი ეზ.“, ეშე სპეც. „მატემატიკა“.
პრემნია ისპიტანია დია პოსტორნიხ ლიჩე და პერეკზამენოვიკი დია უჩენიჩე ნაჩნუტა 17 გო ავგუსტა ს. გ. 4—2.

ომის დღიური.

კავკასიის ასპარეზზე ჩვეულებრივი სროლა იყო. რუსების ჯარმა დაიპყრო სოფ. ნახიკი.
რუსების ნაღმოსნებმა დაღუბეს ოსმალოთა 69 ფქვილით დატვირთული ხომალდი. რუსეთის მოტორიანმა გემმა შეიპყრო სიმინდით დატვირთული იალქნიანი გემი.
რიგა-შაველის რაიონში გერმანელები განაგრძობენ წინსვლას, ახლა მათი შეტევა სწარმოებს გრიუნზოფ-უგორკრუბის პირზე. ნემანის იქითა რაიონში ქ. სუვალკის ჩრდილო-აღმოსავლეთით გერმანელებმა აიღეს რამდენიმე როტის სანგრები. ეს სანგრები რუსებმა წინა დღეებში გერმანელებს წაართვეს.
გერმანელები დაუახლოვდნენ ნოვოგეორგიესკის ციხეს. ამ ციხის არტილერიას უკვე მონაწილეობა მიუღია ბრძოლაში და საუცხოვოთ უსვრია გერმანელთა კოლონებისთვის.
ვისლასა და ბუგს შუა გერმანელები უახლოვდებიან რუსების სიმაგრეებს.
სოკალის რაიონში მკერმა დაიკავა მდინარის მარჯვენა ნაპირი და აქ გამაგრდა.
ავსტრიის წყალქვეშა ნავმა ჩასძირა იტალიელების ჯავშნოსანი „გარბალდი“.
ილ. იზონოვსე იტალიელკმა გაიპარჯვეს, წამოიყვანეს მრავალი ტყვე და ხელთ იგდეს ტყვის ფრქვეველები. ბრძოლა კვლავ გრძელდება.
დარდანელში ინგლისელებს დაკარგვიათ ომის დაწყებიდან 8,084 კაცი მოკლული, 16, 814 დაჭრილი და 7,535 უზო უკვლოთ დაკარგული.

ო მ ი

(პეტ. დემ. სააგენტოსაგან).
კავკასიის ასპარეზი.
თფილისი. 7 ივლისი. 5 ივლისის განმავლობაში ზღვის პირის რაიონში სროლა იყო. რუსების ნაღმოსნებმა 69 ხომალდი დაღუბეს ფქვილით დატვირთული. რუსების მოტორიანმა ნავმა ხელთ იგდო იალქნიანი გემი დიდძალი სიმინდით დატვირთული ოლთისის მიმართულენით სროლა იყო. მუშუის მიმართულენით ბრძოლა გრძელდება. რუსების ჯარმა სოფ. ნახიკი დაიპყრო. დანარჩენ პირზე მდკომარეობა არ შეცვლილა.
აღმოსავლეთის ასპარეზი.
ამბროზგადი. უმაღლესი მთავარსარდლის შტაბისაგან. 7 ივლ. ოფიციალური. რიგა-შაველის მიმართულენით 6 ივლისის განმავლობაში გერმანელების შემოტევა გრიუნზოფ-უგორკრუბის პირზე. ნემანის იქით მდებარე რაიონში გერმანელებს კერძო ხასიათის იერიშები მოჰქონდათ ერთ-ერთ პოლკის სანგრების წინააღმდეგ ქალაქ სუვალკიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე სოფ. გილიზოვი-როვთან. ამ სანგრების გამო ბრძოლა 1 ივლისიდან. 6 ივლისს ღამით მრავალი რიცხოვან ბატარეების დახმარებით გერმანელებმა მოახერხეს რამდენიმე როტის სანგრები დაპყრობა, რომელნიც რუსებს წინა დღით დარჩათ. მდ. ნაროვის პირზე ალაგ-ალაგ სართალერიო სროლა იყო. 6 ივლისს ბრძოლები გაიმართა მოწინავე რაზმებს შორის. ნოვო-გეორგიესკის ციხის მძიმე არტილერიამ 6 ივლისს სიუცხოვოდ დაუშინა ზარბაზნები გერმანელების კოლონების თავს. ვისლასა და ბუგს შუა 6 ივლისს გერმანელები ფრახილად უახლოვდებო-

ექიმი ვ. დ. ნასარძი შინაგანი, ნურეების და პეგების სნეულეობით ავთომეოფების იღებს დილის 8—2 საათამდე და საღამოთა 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის უფოფია ქა. დაქის თავის დ. ა. დარქოფიანის სახლი. თვ.

მასპით სამკურნალო კაბინეთი
მარ. ბალანჩივაძისა.
გვურნე მასპით, საქიმო ვარკშიობით. ვსობ სახეზე: მუწუკებს, ნაოპებს, პორფელს მეტ სიწითლეს, ნაყვილებს და ყოველგვარ ხაზის ავთომეოფობას. ამასთან ვუცრი ყვივილსაც და აგრეთვე **ნამდვილი მარჩხე** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშუალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცივდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სიბრძილეს. ავთომეოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარეგება 10 შუური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთქიფანიძის სახლი. თ.

დნენ რუსების მიერ ახლად დაქერილ პოზიციებს. ბუგზე გრძელდებოდა მოწინააღმდეგის იერიში კრილოვიდან დაწყებული სოკალამდე, ამასთანავე სოკალის რაიონში მოწინააღმდეგე რამდენიმე გამაგრდა მდინარის მარჯვენა ნაპირას. დნესტრზე სასტიკი ბრძოლის დროს ძველ პირზე 6 ივლისს რუსებმა კვლავ 500 ავტრიული დაატყვევეს და ხელთ იგდეს 5 ტყვის-მურქვეველი.

იტალიის ასპარეზი.
რომი. 6 ივლისი. ოფიციალურად იუწყებიან: იტალიელების ჯავშნოსანი კრესერი „გარბალდი“ კატაროსთან ნაღმით ააფეთქა და დაღუპა ავსტრიელთა წყალქვეშა ნავმა. მთავარ ბანაკის ცნობით 6 ივლისსა კამლორში კარგათ განვითარდა შტევა ფალკარემის რაიონში ანეეს ველზე; იტალიელების რაზმები ამავე დროს დაეშვნენ მახურიანიდან ფლოიდერბარისაკენ მიმავალ ხაზით და იერიში მიიტანეს ავსტრიელებზე, რომელნიც გამაგრებულნი იყვნენ მორანიას ხილთან. აქ ხიშტებით ბრძოლის შემდეგ მათ ხელთ იგდეს სამი ბლოკაუზი. იტალიელებმა კარინაში გერმანიის სიმაგრეს ზარბაზნებს სროლა დაუწყეს; ეს სიმაგრე მდებარეობს პლოც-კოდან ჩრდილო-აღმოსავლეთით. სიმაგრე საგრძობლათაა დაზიანებული. იზონ-ცოს საზღვრებზე იტალიელები ყოველდღე უტყვენ და თანაც იბრძვიან. შედეგები მათთვის ხელსაყრელია. გადაწყვეტი სასტიკი ბრძოლის შემდეგ, რომლის დროსაც ვევითა ჯარმა და ყოველგვარი ყალიბების არტილერიამ საუცხოვო შეთანხმებული მოქმედება გამოიჩინა, იტალიელებმა შეძლეს უფრო ვრცელი მანძილის დაპყრობა კაროს მდლობებზე რამდენიმე ძლიერ გამაგრებული ბლინ დაქათა და მავთულენიანი ხლოართით დატული სანგარი ერთი მეორეზე იქნა აღებული, ამასთანავე დატყვევებულია 20,000 ჯარის კაცი და 30 აფიცერი. ამას გარდა იტალიელებმა ხელთ იგდეს 6 ტყვის მურქვეველი, 1500 თოფი, აგრეთვე სამხედრო მასალა. დღეს დილით მთელ იზონცოს პირზე იერიში ახალის ძალით განახლდა.
საზღვაო გენერალურ შტაბის უფროსი იუწყება: 24 ივნისის უკანის-

კნელი ცნობის შემდეგ საზღვაო და ჰაერის ფლოტებმა ენერჯიული მოქმედება დაიწყეს, ხანდახან ისინი მტრის სანაპიროებთანაც კი იყვნენ. შეიძლება გამოქვეყნებულ იქნას ცნობები შემდეგ მოქმედებათა შესახებ დასაწყის არხიველათ: გაწყვეტილ იქნა სატელეგრაფო კაბლები, ერთ-ერთ კუნძულზე დანგრეულ იქნა ბაზარი ნაღობებისათვის, განადგურებულ იქნა კაზარები და ქარხნები, ამასთანავე ხელი იდგენ რამდენიმე ტყვე. 5 ივლისს დღით-ადრინდელ იტალიელების ძველი ჯავშნოსნების რაზმი, რომელშიაც შედიოდნენ: „გარეზი“, „ფრუიო“, „გარრიბალდი“ და „პიზანი“ მიუახლოვდა კატაროს წყლებს და ხარბაზნების სროლით ძლიერ დაზიანა რენის გზის ლიანდაგი, იმავე დროს პატარა გემები მოქმედებდნენ. გრაფოზას წინააღმდეგ, სადაც განადგურეს მანქანების ქარხანა და რამდენიმე სახელო შენობა. ამ რაზმმა დესანტი გადასხა და კუნძული ჯიუპანო დახვეწა. კატაროს ნავთსაყუდელში მიმალულნი ავსტრიელების ჯავშნოსნები იქიდან არ გამოუსულან.

ლონდონი. 6 ივლისი. თემთა პალატაში ასკეტიკმა განაცხადა, რომ დარდნელში მომქმედ ჯარისა და ფლოტში საერთო ზარალია: მოკლულთა 8,084 აფიცრი და ჯარისკაცი, დაკარგია—26,814, უკვალოდ დაიკარგა—7536.

სტოკჰოლმი. 5 ივლისი. გარემო საქმეთა მინისტრ-პრეზიდენტმა ხემაზარულად აღუტაცა მიწა, რომელმაც გადასცა მას ვირბერგში მომხდარ შვეციის საერთო სამშვიდობო კონგრესის რეზოლიუციის ტექსტი. ეს რეზოლიუციები გადაეცა პრემიერსა და მთავრობებს, ვითორცა აზრი ნეიტრალურ სახელმწიფოებსა, რომგორც დამატება მსოფლიო კონგრესისა, რეზოლიუციის გამოათქვამილი თხოვნა ჩრდილოეთის სახელმწიფო მთავრობების მიმართ თავს იდევნა შეამავლობა ზავის ჩამოგდების შესახებ: პირველმა მინისტრმა სთქვა, შვეციაში მშვიდობიანობის მეგობრები ჩვეულებრივად აზრს გამოსთქვამენ, ან ისინი იმდენ იმას, ნეიტრალიტეტისაგან გამოსვლას არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეწყვიტონ ადგილი. ამ აზრს ვერც მე და ვერც ჩემი კოლეგები ვერ გაზიარებენ. ჩვენ ძლიერ

გვწადიან მშვიდობიანობის დაცვა, ჩვენს მოვალეობადა ვსთვლით ყოველივე ძალდონით ვიმუშავოთ ამ მიმართულებას, მაგრამ ჩვენ ან ვარიშებს ვუწვევთ აგრედვე ყოველივე შემთხვევას, რომელთა წარმოშობის დროს, მიუხედავად ჩვენი ყოველგვარი ცდისა, თუ შვეციისათვის მშვიდობიანობის დაცვა შეუძლებელი გახდა. თუ რა შემთხვევებია ისინი, ამის შესახებ ბევრი მიზეზებისა გამო ამ უკვად ლაპარაკი არ ვარგა; მხოლოდ შეილება ითქვას, რომ, გარდა უკიდურესი შემთხვევისა, ე. ი. მტრის შემოსევისა ჩვენს სამშობლოში, არის კიდევ სხვა მოულოდნელი შემთხვევა, რომელნიც შეიძლება სწორედ ასეთ მდგომარეობას შევედარდეთ. ვიმედოვნებ, რომ ასეთი პოლიტიკა ნეიტრალიტეტისა ძლიერ დახმარებას პოვნებს შვეციის ხალხის ყოველ ნაწილში და განიარტებულ იქნება დიდი უმრავლესობით. მრწამს, რომ მშვიდობიანობის მომხრენიც, მცირედი გამოჩაქისით, ნამდვილად იზიარებენ ამ აზრს და არა მგერა, რომ დიდი ძალა მშვიდობიანობის მომხრეა, რომელნიც წინააღმდეგებიან შინაგან არეულობას გვირგვინდნენ არ დავარდნით მშვიდობიანობა და თავი არ გამოვიდვით შვეციის უფლებათა და თავისუფლების დასაცავად, თუ კი გარემოებანი შეიქმნებიან, რომელნიც ძალის ხმარებას მოითხოვენ. უკანასკნელ დროს ბევრს ლაპარაკობდნენ საერთოზე, რომელიც აღმოცენდა ომის სასურველობის ლაპარაკზე; ეს მართლაც საშიშარია, თუ ამ გზით წარმოიშობა წარმოცენა, ვითომც შვეციას ომი სურდეს, მაგრამ ასევე საშიშარი იქნებოდა ზოგიერთ წრეებში იმ აზრის შექმნა, თუ შვეციას უტყვევლად სურს მშვიდობიანობის დაცვა და რომ, ამის გამო მას შეიძლება ისე მოეპყრან როგორცა სურთ, და ამასთანავე არაფერი პასუხი ავან. პირველ მინისტრისათვის გასაგებია მშვიდობიანობის მეგობართა მისწრაფება, რომელთაც სურთ შვეციის ჩარევა ზავის დასამყარებლად; მაგრამ მინისტრ-პრეზიდენტის მდგომარეობა, სთქვა მან—არც ისე ადვილია, საერთაშორისო დამოკიდებულებაში დიდი მნიშვნელობა აქვს ნაკლებ გამაზნეველ ანდაზას: ვინც დაუპატარებლად ერევა, მალეობას ვერ მიიღებს; ამაზედ კუდი კიდევ ის არის, რომ უდრეოდ ჩარევა საქმეში არამც თუ სარგებლობას ვერ მოიტანს, არამედ გაუსწორებელ უზედურებას გამოიწვევს.

იან კუსი.

(შემდეგ იხილეთ „სამშობლო“ № 123)
 ადრე ჩვენ ვთქვით, რომ ჩვენებმა მართლმადიდებელი სარწმუნოება მიიღეს მეცხრე საუკუნეში, მაგრამ როდესაც ჩვენმა გერმანელების გავლენის ქვეშ მოექცენ, ჩვენში გაჩნდნენ კათოლიკების ეკლესიები. გერმანელები შეუდგნენ ჩვენების ზნე-ჩვეულებების და მათი ჯნის დაეწეებას, გულს უგრილებდნენ მართლმადიდებელ სარწმუნოებაზე და ავრცელებდნენ „კატალიციზმს“. კათოლიკების სამღვდლოება კი იმ დროს მტრათ საზიზრათ იქცეოდა. თვით კათოლიკების პაპი, რომელსაც მეფეთა მეფეს ემანდნენ, სურულიად არ ზრუნავდა ქრისტეს მოძღვრებაზე. ის უფრო თავის გამდიდრებაზე ფიქრობდა. ამიტომ პაპები ყველას უსირცხვოდ ახდევინებდნენ ფულებს: თუ ვისმეს მღვდლობა უნდოდა მას უმეტველად პაპისთვის ფულები უნდა მიეცა; როდესაც მღვდელი მოკვდებოდა, მისი სიცოცხრებელი პაპის ხელში გადავიდოდა. ყოველგვარი ეკლესიის შემოწინებლობა პაპის სასარგებლოთ მიდიოდა. რომ უფრო ბევრი ფულები აედოთ პაპებს, შემოიღეს რომში ქრისტეს დაბადების დღესასწაული. ამ დღესასწაულს ყველა ვალდებული იყო დასწრებოდა, ვინც ვერ დაეწერებოდა, მას უნდა გადაეხდა პაპის სასარგებლოთ ის ფული, რაც დაკირდებოდა რომში მისვლა-მოსვლაში. ამას ზედ დაუმატებინდნენ ცივი

ბულგარეთი.
პარიზი. 5 ივლ. რადოსლავოვმა გაზეთ „ტანის“ სოფის კორესპონდენტს უთხრა, რომ ამ ეპოქაში მხოლოდ ორგვარი მოლაპარაკება ხდება: მოლაპარაკება ოთხთა შეთანხმებასთან იმ მიზნით, რომ სისწორით გამოაკვირონ ოთხთა შეთანხმების სახელმწიფოთა განცხადება და დამტკიცონ, თუ რას მიიღებს ბულგარეთი გამოსვლის შემთხვევაში, მეორე კი—ოსმალეთთან მოლაპარაკება ფრაკიაში რენის გზის თაობაზე. არავითარი მოლაპარაკება არ ხდება ბალკანეთის კავშირის აღდგენის შესახებ.

ქურნალ გავითიქიდან.

უხსოვრის მითხვლა.
ინფლისალების დანაპარკი და დანაწილი.
 თემთა პალატაში, დარდნელის მსხვერპლის შეკითხვაზე, ასკეტიკმა შემდეგი გამოკვლევა წარუდგინა. 18-დან 31 მაისამდე მოკლულ, დაჭრილი და უკვლოდ დაკარგულთა რიცხვი
 შემდეგი იყო:
 აფიცრი მოკლული—496, დაჭრილი—1134, დაკარგული—32. ჯარისკაცი. მოკლული—6927, დაჭრილი—23542, დაკარგული—6445. სულ 38636.

საპარსკო.

30 ივნისს ჩამოვიდა ისპანში 8 ქარავანი გერმანელების და ავსტრიელების აგენტების. მცირე რიცხვანს ქანდარმერის საშუალება არა აქვს გაგზავნოს რაზმი გზების დასაცავად და ავაზაკთა დასაქერათ. ერთი კვირის განმავლობაში გაძარცვეს 5 ფოსტა.

სოლონი. დედაგანდინ იტყობინებინა, რომ 26 ივნისიდან, ჩამოვიდა სოლონიში რამოდენიმე ათასი სომეხი გამორტყილი ოსმალეთის მთავრობისაგან როდოსტოლენ, ადრიანოპოლიდან და კრეს-კილისიდან.

სტოკჰოლმი. ბერლინიდან იუწყებიან, რომ ფრანსთა მინისტრების კონფერენციამ გერმანიის იმპერიისამ დადასტურა, შეტანილ იქნას რეისტრაცია ახალი კრედიტების კანონ-პროექტი და აგრეთვე შემოღებულ იქნას განსაკუთრებული საიმპერიო სამხედრო გადასახადი შემოსავლის მიხედვით.

ოსმალეთის მთავრობამ ეგვიპტეში შეჭრაზე უარი განაცხადა. ის აპირებს ვარის გარდაცვლას: ერთი ნაწილი გადაეყვანება ჰავასის ფრონტზე, მეორე დარდნელში და მესამე კონსტანტინოპოლის მიდამოებში.

აზალი ტინის მიმზამება.

სახალხო განათლების სამინისტროსთან დაარსებულმა კომისიამ წარუდგინა გრაფ პ. ნ. ფანატევის საშუალო სასწავლებლის პროექტი. თანახმა პროექტისა, რეალური სასწავლებელი შეიკვლება ახალი ტიპის განათებით. ახალი გინანბ. იქნება 7 წლ. კურსით და ერთი წლ. ლათინური რენის კურსით. 8 წლის გინანბები კი ორივე ძველი ენებით, განსნილი იქნებიან მინისტრის განსაკუთრებულ ნებართვით ადვილობრივი ხარჯით. იმ ქალაქებში, სადაც სამი გინანბა არსებობს, გინანბებიდან გახსნეს ბანსე. კლასები მათემატიკის, ბუნების მეტყველების, ძველი და ახალი ენების ვრცლათ შესასწავლათ. მინისტრის ნებართვით შესაძლებელი იქნება ორივე სქესის ერთად მომზადება. იმ გინანბებში, სადაც არა რუსთა ელემენტები 50 პროც. იქნება, სამდეთო-სჯულს საშობლო ენაზე შესწავლიან.

ინსპექტორისა და კლასის ზედამხედველის ადგილები გაუქმებული იქნება და შეიცვლება აღმზღდელი თანამდებობაზე, რომელიც დირექტორის უმჯობესების თანაშემწე იქნება. ყველა აღმზღდელი დირექტორთან ერთად წარმოადგენს ცალკე კომისიის, თითოეული კლასის მდგომარეობის გამოსარკვევათ. კომისიის დადგენილება წარედგნება პედაგოგიურ საბჭოს დასამტკიცებლათ. ახალი წესდება შედგელობაში დღებულობას შემოღების კრებაში. მშობლების კრებაზე დასწრების ნება ექნება დღე-მეორეს. მხოლოდ ხმა მიენიჭება ერთს მათგანს.

რედაქციისაგან.

ქუთაისის ქართული გინანბის გამგის ბ. ი. ოცხელის წერილს რედაქცია უკვლოდ ბეჭდავს. ის, რასაც ბ. ოცხელი ამბობს თავს განმარტებაში ერთის მხრივ ვრცელი განმეორება იმ ოფიციალური ქალოდისა ბ. ცინცაძის დათხოვნის შესახებ, რომელიც რედაქციამ უკვე გამოაქვეყნა, მეორეს მხრივ თავის მართლებას, რომელიც არავითარ საბუთს არ ემყარება.

მთავარ მიზეზს წყნად, რომელსაც ბ-ნი დირექტორი ასახელებს, დასაშვებლეთა რიცხვის შემცირებას შეეხება. ვიდრე სასკოლო კომიტეტის კრება არ შედგება და ვიდრე სასკოლო კომიტეტის კრება არ შედგება და ვიდრე იგი არ გამოითქვამს თავის ავტორიტეტულ აზრს, ჩვენ თავს ვიკავებთ-რამე უპასუხო ბ. ოცხელს ამ საკითხის შესახებ.

მაგრამ ბ. ოცხელის წერილი შეიცავს ისეთ ადგილებს, რომლებსაც კომიტეტის განმარტება სრულდით არ სჭირია და რედაქცია მოვალეთ სთვლის თავს თვის გასცეს პასუხი. მთავარ მიზეზს გარდა ყოველსა სხვა მიზეზებზე, რომლებიც, ბ. დირექტორის აზრით, არა ნაკლებ უწყობდა ხელს იმ გარემოებას, რომ ი. ცინცაძე გინანბიდან დაეთხოვნათ. ბ. დირექტორი ასახელებს იმ გარემოებას, რომ ი. ცინცაძე რედაქციის იყო გზ. „სამშობლოში“, ეს კი ხელს უშლიდა მასწავლებლის მოვალეობა რიგინათ ავსრულებინა, რაც მასწავლებელთა კარბორაციაში უკმაყოფილებას იწვევდა.

გვესურს პირდაპირ დაუყენოთ საკითხი ბ. ოცხელს: იყო თუ არა ის, დირექტორი ბ. ოცხელი, მასწავლებელი ი. ცინცაძისთან ერთად გაზეთის სარედაქციო კოლეგიის წევრი და თუ იყო, რატომ ადრე არ ექცევა უკრადლებას მ გარემოებას, რომ გაზეთში მუშაობამ და კოლეგიის წევრობამ შეიძლება ხელი შეუშალოს არა მარტო მასწავლებელს, არამედ დირექტორსაც?

რედაქცია აგრეთვე სთხოვს ბ. დირექტორს განმარტოს შემდეგი გარემოება:

იყო თუ არა ბ-ნი ი. ცინცაძე ერთად ერთი მასწავლებელი, რომელიც მასწავლებლობის გარდა სხვა საზოგადო მოღვაწეობასაც ეწეოდა, რისთვისაც ის დათხოვილ იქნა, თუ ქუთაისის ქართული გინანბის მასწავლებელთა შორის არიან სხვებიც, რომლებიც სხვა დაწესებულებებშიაც მსახურობენ ჯამაგრიით, თუმცა ამ დაწესებულებებს არაფერი საერთო პედაგოგისთან არა აქვთ, არც გინანბიდან არიან დათხოვნილი.

დასასრულ, რედაქცია ჰკვირობს: რათ გვახვევს თავზედ ბ. ოცხელი იმ აზრს, რომ უსათუოთ ბ. სილოვან ხუნდაძეს და ბ. გერასიმე ცაგერე-

ბის გაყიდვაში აუარებელი აღებულ ფული და თქვენც წარმოიდგენთ რა რიგ ტყვეებდნენ ხალხს. ბეტრე მოკიქულის მოადგილე პაპები.

იმ დროს კათოლიკებს სწამდათ, რომ პაპის შეუძლია ცოდვების პატივება. ცოდვას კი მაშინ აპატიებდა, თუ იყილიდა ვინმე პაპის „ღრამატს“—ინდულგენციას, უკუღურეს შემთხვევაში მას ცოდვების მონაწილე არ შეეძლო და გზა პირდაპირ ჯოჯოხეთში ქანდა.—რა იყო ინდულგენცია და რას წარმოადგენდა ის? თუ თქვენ მეთქვსმეტე საუკუნის ინდულგენციის თვალს გადავლებთ, დაინახებთ ოთხკუთხან ტყავის ფურცელზე (პერგამენტზე) დახატულს ბერს, ჯვრით ხელში, თავზე გულის გვირგვინი აქვს და გულზე ცეცხლი უქიდა. ფურცლის კუთხეებში, მაღლიდან, არის მაცხოვრის ლურისმანიტ გახვრტილი ხელო, ძირს კი ფეხი. სხვაც ბევრი რამ არის მახედ დახატული. თქვენ აქ დაინახებთ მთარახს, გძქლს და ნაწ, ხმაოს, ჩაქუსს, ზარას, ლახვარს, ეშმაკის თავს, კაბეს, ჯვარს, ბეჭებს, შუპს, გველს და ვინ იცის კიდევ რას. ბოლოში ფურცელს აწერია: „პაპა ლეგ X. 1517. ლოცვა. აი სიგრძე და სიგანე ქრისტეს ქრილობისა. თითო კოცნაში ეპატიება ცოდვები შეიდ წელოწას“. აი ასეთი ფურცელი, ანაირი ზედწაწერით იყო ინდულგენცია. მღვდლები, რომლებიც მას ყიდდნენ, ქადაგობდნენ, რომ ინდულგენციაზე გამოხატული ჯვარი ნამდვილი ქრი

ხამალა ქადაგებდნენ, ვინც ამ წიკნდა „ჩვეთებს“ ხელით შეეხება, იმას არავითარი სახადი ხელს არ მოკიდებოდა. ხელის შეხებაში კი ფულს იღებდნენ. ამ ნაირათ ატყავებდა ხალხს მინდელი სამღვდლოება პაპიდან დაწყებული უზარალო დიკნამდე. ამათ ხომ არც ბერები ჩამორჩებოდნენ. მათის წყალობით მონასტრები მეტად გამდიდრდნენ. „წმინდა“ ბერების ოთახები ოქრო-ვერცხლით გაიმსენ და საწყალ ხალხს კი შიმშილით სული ხდებოდა. ქეშმარტს ღვთის მსახურებაზე არავინ ფაქობდა. ბერათ ის მილოდა, ვისაც მუშაობა ეზარებოდა და ტყუილად ყოფნა ენატრებოდა. „თუ კაცო ზარამაქია და სურს განცხრომაში იცხოვროს, ის უნდა ბერად შედგეს; ბერები კი სარდაფებში კარგ დროებას ატარებენ, ფულები ბევრი აქვსთ, ლოთობენ და გარყვნილებას ეძლევიან“, ამბობს ერთი მაშინდელი მწერალი.

ასეთს საშინელს სურათს წარმოადგენდა სამღვდლოება იმ დროს, როდესაც იან-პუსი პრაგაში სწავლობდა. მათს თავგასულობას თვალს ადევნებდა ნიკიერი იანი და სამღვდლოების პატიოსნებაზე ეპკა ებარებოდა.

ერთხელ პრაგაში მოვიდნენ ვაქრები და მოიტანეს ინდულგენციები გასაყიდათ. ჩვენის მღვდლებმა ეკლესიებში გამოაცხადეს, ამას შესახებ უჭიჭევენ ხალხს მათ ყიდვას. როდესაც გაიგო იან-პუსმა, თუ როგორ ატყუებდნენ ხალხს და როგორი სასამრტყინო გზით ამდიდრებ-

დენ პაპის ხაზინას, ვედარ მოითმინა და ხმა მალე გამოაცხადა, რომ მღვდლები ხელს ატყუებენ და ინდულგენციის ყიდვით ცრადები არიან ეპატივებოთ. ხალხმა დაუჯერა იან პუსს. ამის შემდეგ ჩვენში ალარავინ ყრულობდა ინდულგენციებს და არც არავინ სწირავდა ფულს პაპის სასარგებლოთ.

ერთს ეკლესიაში მღვდელი უხსნიდა მრევლს, თუ როგორ შეიძლებოდა ინდულგენციების ყიდვით ცრადების განკურნება. ამ დროს ერთმა ახალგაზდამ პაპის ანტიქრისტე უწოდა. მეორემ მღვდელს უთხრა, რომ ის ხალხს ატყუებს, მესამე კი გაცხარებული ეუბნებოდა მღვდელს მის უზნეო საქციელს. მათ სამივეს ხელი სტაცეს და საპრობილეში ჩასვეს. გამოძაების შემდეგ ყმაწვილებს სიკვდილით დასჯა ვალდებულტეს. ბევრი ეხვეწა იან პუსი მსაჯულებს მათს პატივებას, თავის თავზე დებულობდა მათს დანაშაულს, მაგრამ არაფერი გაუვიდა. საპივე ყმაწვილი სიკვდილით დასაჯეს.

იან პუსი მაინც არ წყნარდებოდა. ის ხმა მალე დაღადა და საჯაროთ კიცხავდა სამღვდლოების გარყვნილს ცხოვრებას. წინ აღუდგა ინდულგენციების გაყიდვას, არ სწამდა პაპის შეუცდომლობა. იგი ამბობდა, რომ პაპის და სამღვდლოებას ისე შეუძლიათ ცოდვის ჩადენა, როგორც ერის კაცთა. მარტო გარეგანი ფორმა არ ხდის მათ კეთილადიანებათ და თუ სამღვდლოება ნათლათ არ ასრულებს ქეშმარტს ქრისტეს მოძღვრებას და თავის უზნეო საქციელთ პაწწავს ეკლესი-

ამ ღებრებში ეპისკოპოსის კანცელარია ნაქირავები სახლიდან გადავა ახლათ ავტობუს საკუთარ სახლში.

ქალაქის განათება. ქალაქის გამგეობა ამ ეპოქაში ქუჩების განათებას საქმეს ოჯახური წესით აწარმოებს. განათების გაიჯარადრეს მ. სარეკოს ყოველივე ანგარიშები ჩამოართვის. განათების საქმე ბევრით გაუმჯობესდა.

„გერაკალაქის პარტიკა“

(გერაკალაქის ლიფთის ახრა. ქართული ებრაელები და პალესტინის მოსახლეები).

თუ ავსტრიის დედა ქალაქმა ვენამ დაბადა და გააძლიერა გერაკალაქის ებრაელებისადმი, ანტისემიტის გამომსახველი დ. გიგერი, ქ. ბერლინმა მე-19 საუკუნეში დაბადა შინაური მტერი მოსიონ მენდელსონი—გამსახველი ასიმილაციის რეფორმისა ებრაულ სარწმუნოებაში. მისი აზრით, მხოლოდ ასიმილაციის ძალით შეიძლება ებრაელთა „სხნა“, გერაკალაქის მტერი—ანტისემიტებისაგანაო. მაგრამ მენდელსონი ვერ მიხვდა, რომ მისგან შექმნილი რეფორმები, უფრო მეტ საშინელებს უქაიდა ებრაელობას ვიდრე გერაკალაქის მტერი და კიდევ უფრო ზიანი მიუყენა ებრაელობას: მისმა აზრმა მოიპოვა ბინა მთელს ევროპაში, ბევრი ნაწილი ჩამოაშორა ტრადიციონალური ებრაელობის და გადამყვანა რეფორმებისაკენ. ძველი წმინდა სჯულის შემანახველები, ე. ი. ორტოდოქსები შეიქნენ ორ წყალშუა. ერთი მხრით სდგენილენ მათ ანტისემიტების და შიგნით კი—ასიმილატორები.

1820 წლებში პარიზში შესდგა კომიტეტი „ალიანს იბრაელიტ“-ი რომელსაც სათავეში უდგა პარიზის რაბინი კაანი, საფრანგეთის ფინანსთა მინისტრი ქერამია. მიზანი იყო: გადარჩენა ებრაელებისა დაჩაგრისაგან. სიმართლე რომ ვსთქვათ, ვიდრე ეს ორი კაცი ცოცხალი იყო, ბევრი სიკეთე მოუტანეს ებრაელებს მაროკოში, სპარსეთსა, ტუნისა, აღჟირსა და აზიისაში დიდი დახმარება გაუწიეს და გადარჩინეს ებრაელები ფანატური მამაძინების ხელიდან. მათი სიკვდილის შემდეგ „ალიანს“-ი მთლათ დიკავეს ასიმილატორებმა და თავიანთ აზრზე დაიწყეს მისი წარმოება. წლიური შეკრების ბიულეტენი, რომლებიც გახსნენ მათ სხვა და სხვა ქვეყნებში, ერთ მილიონ 400,000 მანეთს უდრდა. ზრდიდნენ ყველას ამ ქვეყნებში ასიმილაციური სწამლებით. ოცი წლის წინათ გერმანიის ებრაელობამაც შექმნა ანდაგვარი ფილანტროპული კომიტეტი სახელწოდებული „ჰილფსფერანდი“. ყველა ესენი სულ ორტოდოქსისა შემოადგენ მტრთა. ამნაირით შეიქნა ებრაელის ცეცხლიდან გადარჩენილი რკუდი ნამეტნავით შერყეული, აი მავალითად, ქ. ფრანკფურტში ცხოვრობდა 70,000 კომლი ებრაელი და როცა პროფესორი პირი იქ რაბინათ მოვიდა, თერთმეტი კაცის მტრეცდარ მონახა ორტოდოქსიის მომხრე. და იუ მან შესძლო ასიმილაციის გალანის გარღვევა და უკან გამობრუნება დაკარგული შეიღების, ეს მხოლოდ მისი დიდი გენიოსობის წყალობით მოხდა. მაგრამ ორტოდოქსებშიაც შეიქნა ნედლი იდეალის მომძებნი; ასიმილატორებშიაც ამ აზრმა თავი იჩინა, მაგრამ ეს ფიქრი იყო ბნელ გულში ჩახობილი და გამოუკვებელი, და უშუალოდ უკვლოთ ძებნა რომელიმე მიზნის, აი ამ დროს გამოჩნდა მათათაუ გერაკალი, რომელმაც შეაფრთხა სარწმუნოება და ცხოვრება შეუძღვლოთ, გაახლა ჩვენი ძველი იმედი—

„ეროვნება და პალესტინა“

რა საკვირველია, თუ მან შეკრიბა ორივე მხრიდან თანამგზობლები, ეს მოხდა იმის წყალობით, რომელსაც მას გვერდში ამოუდგა პროფესორი შაფორა, დიდი მკოდნე ტალმუდისა, ვოლო-

ზინის იეზობიდან, აგრეთვე დიდი მკოდნე ებრაელების მეცნიერებისა ბერლინის „რაბინურ უნივერსიტეტიდან“, რომელმაც დაამტკიცა, რომ სრულიად ებრაელობა სიონიზმი ებრაელების სარწმუნოებას. მოხდა პირველი კონგრესი. გერაკალაქის თაგისი ძვირფასი სიტყვებით გააცნო დამსწრეებს თავისი პროგრამა, და დააჯავა: „ჩვენი ერთილება გარემო მტრიდან, იწვის უნაყან მოლაღობე ძმებისაგან—მისი წამალია გააცნობილოს თავისი ბიბლიური ენა მოიპოვოს თავისი დავიდური სამშობლო პალესტინა. თუ თქვენ ნიოსურებთ ამას, კიდევ შესრულდება“.

ამ ხამ მათე დედაიწვის ზურგზე იფეთქა და გამოადგამა დაძინებული ძარღვები ებრაელებისა, უკიდურესმა ასიმილაციამ თავისი პოზიციი არ დათმო და სიონიზმის ომით მხვდა. ორტოდოქსიამაც თავისი მხრით, რადგანაც ბევრი ტანჯვა ქონდა განვლული ალიანს პილეს ფერან ასიმილატორებიდან, სიონიზმსაც ექვის თვალთ შეხედა და შორს გაუდგა, უკანასკნელმა სიონიზმის დიდმა პალესტინისა და ბიბლიურ ენის გაცოცხლებამ ნელნელა გაუქრო. ევეო ორტოდოქსებს და თავისუფლნი მიიხილვია.

დ. ბაზოვი.

შემდგე იქნება.

გაბრაუშაითი საუკრად-ლეოდ.

წერილი საინგიადრას.

აგერ რამდენიმე წელაწაღია აბრეშუმის პარკის ყიღვა-ვაჭრობის საქმეს თვალყურს ვადევნებ და მიტომ ერთი და იგივე გარემოება ძალაუფლებურად თვალწინ მელიბედა ხოლომე. ეს გარემოება ვახლავთ მეტად დიდი განსხვავება ნუხა-საინგილოსა და ქუთაისის აბრეშუმის პარკის ფასებში. ავსტრიით თუ გინდა წერადღელოთ ვსვლენ, ნუხის მაზრასა და საინგილოში 19-24 აღის, იმ დროს, როდესაც ქუთაისის საუკეთესო პარკის ფასი 14 მანეთზე ზევით არ მიდის, რა არის აქ მიხეზი? წელს საინგილოში სიზოვადოდ მკორე მისავალი იყო პარკისა და ამასთანავე დაბალი ღირებვისა, ამიტომ თავდაპირველად აქაურმა მსხვილმა ვაჭრებმა ქუთაისისკენ გამოჰქურცებლეს. წელს ისეთებიც კი წამოვიდნენ ქუთაისისკენ, რომელნიც თავის დღეში არ წამოსულენ ქუთაისის გუბერნიისა. რასაკვირველია, თუ წერულს ქუთაისის გუბერნიის ჩვეულგებობებზე მეტი ვაჭარი ეწევა და იმ რაიონში, სადაც ძველად ისინი აბრეშუმს იქნდნენ, პარკის მოსავლობა იყო, ქუთაისის გუბერნიის პარკი კარგს ფასებში უნდა გასულიყო, რადგანაც თუ მექარხნები პარკს ვერ იშოვნიდნენ, მაშინ ნუხის 60 ქარხანას სამუშაო აღარ ექნებოდა და უნდა გაჩერებულ იყვნენ, რაც მათთვის, რასაკვირველია, ხელსაყრელი არ იყო.

მთავარი მიზეზი, მე გვონი, ჰაზრის

უტოდინარობა არის, გამოქრული ჩარჩავებები ჩვენის ხალხის უტოდინარობით სარგებლობენ, ხელოვნურად სწვენ პარკის ფასს და უბრალო ხალხს ქელში აბამენ.

აბა ახლა დაუკვირდით, მკითხველო, თითო ფუთში რამდენი განსხვავებაა, ადრე ნუხსა თუ რამდენი ფათის ფუთი პარკი გავა ქუთაისის გუბერნიიდან და ადრეად დინახავთ, რომ ქუთაისის ღირებ მცხოვრებლებისა ჩარჩავებების ჯიბეში რამდენიმე ასიათასი მანეთი რჩება. განა ეს დიდი უბედურება არ არის და დღით მათიანებულთ არ არის გლეხი კაცის მეურნეობისა და ღირებუ ჯიბისათვის.

როდემდის უნდა ვიცვით ასეთ უნუჯეო მდგომარეობაში, როდემდის უნდა გგქონდეს მოუწოდებელი მოუწესრიგებელი ბაზარი. ნუ თუ ნუხა ისე შორს არის ჩვენგან, რომ იქაურის ფასების გაგება და მასთან შეჯარება ჩვენებური პარკის ფასებისა არ შეიძლებოდეს! ან ნუ თუ ისე

დავაძუნდით ნივთიერად, რომ ჩვენშივე რამდენიმე სართავი ქარხანა ვერ დავაარსეთ და ჩალის ფასით უნდა გადაგვართ ყოველთვის ჩვენი ქვეყნის ასიათასები. თუ ქალაქმა ნუხამ 60 მეტი ევროპიულად მოწყობილი ქარხანა შექნა და არამც თუ თავისი პარკი არსად არ მიიქვს და ამუშავებულ, პირიქით ქუთაისის პარკსაც თითონ იძენს, ნუ თუ ჩვენში აღარ მოიძებნებინ ისეთი პირნი, რომელთაც სააშხანაგოთ მიანიტ შეეძლოთ ქარხნის დაარსება და ამ გვარად ჩვენზე ნაშრომის ფული ჩვენზე დარჩენილყო.

დროა, ბატონებო, თაღები გამოვიფხვინოთ და ჩვენც გავაკეთოთ რამე.

ედლი.

დაბა-სოფელი.

ბ. შქერია. (ზემო რაქა). აქაური მცხოვრებნი თითქმის მთელი წლის განმავლობაში თავიანთ საზრდოს ყიდულობენ, რადგან აქ როგორც მთა ადგილში, მჭირი ნადაგის გამო, არაფერი არ მოდის გარდა ქერისა და ისიც იმდენი მოჰყავთ, ადგილის სიფარდისა გამო, რომ ძლივს ყოფნის ორი-სამი თვი, დაწარჩენ თევებს კი ნახევრად მშორებში დიდის ვი ვაგლობით და ვაჭირებთ მიანჩხალებენ. ეს მაშინ, როდესაც ნორმალურ პირობებში უხდება ცხოვრება ხალხს, და რა უნდა იყოს დღეს, როდესაც ყოველი ადამიანი აუტანელ მდგომარეობაში ჩავდო ომისაგან გამოწვეულმა სიციხრემ. წლიდან წლობადის სულ ნაკილით გამოკვება ოჯახისა, არამც თუ შემერელ გლეხს, რომელსაც არ მოეპოება არაფითარი სახსარი, არამედ მდიდარსაც კი გაუჭირდება. სწორედ ეს არის მიზეზი, შრომე შექერულს ვერ გაუბედა სიციხრისა გამო იყილოს სიმიდი ცხოვრის წინ მდებარედაბეში, ონ შინ საჩხერეში და შიგნეზავრება ჩრდილო კავკასიაში, სახელსალიგვერდაში (თერგის ოლქი), რათა საში-ორი აბაზით ნაკლებში იყილოს ფუთი სიმიდი და ბრუნდება მეზიდე მერე დღეს თავისი ცხენით ცოცხალ-მკედარი. მერე რამდენ ხანს უნდა იყოს საწყალს ეს 8-9 ფუთი სიმიდი? დიდი, დიდი ერთი თვი, რის შემდეგაც ან ისე უნდა შეუღვს საბიფთო მგზავრობას, ან და იძულებული ხდება იმარხულოს. მართალია, აქაური მცხოვრებნი ბევრია გადახვეწილი სხვადასხვა დაბა ქალაქებში ლუკმა პურის საშოვნელათ, მაგრამ უმრავლესობა ხომ საომრათ გაიწვიეს და უმცირესობამ კი რაქნას თავისი ორიოდ მონავებ გროშით, ოჯახს გაუძღვეს, თუ იხადს გადასახადი, რომელიც ყოველ წლიურათ 4000 მანეთზე მეტს უდრის, ამაში შედის გადასახადები ოჯახის სხიით, კერძო პირების სასარგებლოთ, რომლებმაც ხალხის შეუგნებლობით და მოკუებით ჩივიდეს ხელში ნახევარი შქმერელების მიწა-წყალი. საგრძობლოთ უნდა ჩიითვალოს ეს გადასახადი 160 კომლზე, ისიც შქმერელებზე, აუტანელია ცხოვრება მათი დღეს. უფრო აუტანელი და გულშემბარავი იქნება მომავალში. ორი მუქა ქერი, რომელიც დაბნია გლეხმა, მუდმივმა წვირებმა, სიკვებებმა, თოვლმაც კი, რაც ცოტა ხნობით გვეწვია იენისის 25-26 რიცხვებში, სულ ერთიანათ ამოაღებო და წახდინა. ამას იმ მომავალ გადასახადსაც თუ კი დაუმატებთ, რომლის გამწვრსაც განზრახული აქვს მთავრობას შარშან ნისიით მიცემულ სიმიდზე, მაშინ ხომ ჯოჯოხეთური ცხოვრება გადაგვეშლება თვალწინ, ამისთანავე პირობებში ცხოვრებას განიცდიან მთელი ზემო რაქის მცხოვრებნი. საქირია დაწარება. დღით დაღავლება ხალხს, რომელიმე დაწესებულება ან საქველმოქმედო საზოგადოება, რომ დაკლებულ ფასებში მიანტ მოაწვდენდეს სიმიდს საჩხერის ხალგაზე, საინიანაც შეუძლია თითქმის ზემო რაქველმა ისარგებლოს და ნახევრად

მა ნც დაიკამყოფილოს თავისი მოთხოვნები. მართალია, რკველი კაცი მეტი მომომენია, არ უნდა თავაზი კერძო საქირიების გულსთვის შეაწუხოს ვინმე, მაგრამ რაქვნათ, რომ ყოველთვის და მასთან მოთმინებასაც სახლგარი აქვს.

ბ. პაიდიე.

წერილი რედაქციის მიმართ.

ეთხოვ ნუხ მომცეთ თქვენი გასუთის სსუალებით მადლობა შეუწირო ქვემო დასახლებულ პართ, რომელთაც ამანაობის საჭარბებისათვის შემოსწირეს: დასარალებულ აჭარულთა სსსრებლოდ: დეკანოზმა მარკინმა—5 მან., მდღე. დ. ირემამძე—4 მან., მდღე. ევ. სვანიძე—2 მან., თითო მანეთი მდღელებმა: გ. ბურჯანაძე; ა. ჩავეტაძე, ი. ჩავეტაძე, არ. კოხალაძე, მ. ხვალეაძე, თ. ჭაბუკიანი, ს. ფრუქიძე, ს. დამინანი: მ. თავაკაძე, ან. გოლეტიანი, ა. ჩარკვიანი, ი. უურაშვილი, ს. დიპარტეაძე, დ. ომანაძე; მედავით-სეიმა: ა. ხვალეაძე, მ. კოხალაძე, ი. კოხალაძე, ბ. სვანიძე, საათი-შური მედავითიანი: ი. კვიციანი, მანდაძე, მ. კოხალაძე, გ. გოლეტიანი, მ. თავაკაძე, გ. ჭაბუკიანი, ა. დამიანი, ს. ჩახანანი, გ. სილაგაძე, მ. ჩავეტაძე, ს. დიპარტეაძე, ლ. გიბაძე—და დაქანმა ხვალეაძე, —სულ 35 მან. 50 კაბ. გარდა ამისა, ომანობის საჭარბებისათვის ფასწორ სედა-მარცხედ (ბ. ჭაგუშაიას) შეკრებიე 3 მან. და 40 კაბ. მოწვეულებმა ბურაძემ და გე-ლევიანმა შეკრებიეს 1 მან. 10 კაბ. სსსრებსა კერძოთ შეკრებიეს თავთავანთ მრეკლები: სოფ. ნაყურაქუს—4 მან. 91 კაბ., ცხეთას—5 მ. 88 კაბ., თფი-ტრას—7 მ. 50 კაბ. (ამას გარდა სსსრელები და სხვა ნივთები), ნასწერს—7 მან. 15 კაბ. ჩქუმს—6 მ. 31 კაბ., მასწმს—4 მ. 81 კაბ., ზედალუხანს—7 მ. 84 კ. ცხეკუშერს—6 მ. 35 კ. უტერს—3 მან., დასურაშს—4 მ. 10 კაბ. კიანაშუქს—7 მ. 37 კაბ., მსუ-ტელს—15 მან. ნავთიარს—8 მ. 40 კ. გასურს—3 მ., აღეს—5 მან., დასურას—2 მ. 27 კ., ჩავეტის—4 მ. 1 კ. დ. ტაგეს—5 მან. —სულ მრეკლებში შეკრებიეს—107 მან. 60 კაბ., თავის სსსრელებადგან გარდასადეს კვესიანმა: ს. ჩაქუმის მთავარანგე-ლოზისამ—30 მან., ს. ცხეთის მწ. გიბრასამ—15 მან. და დასწებტის მთავარ ანგელოზისამ—12 მან. —სულ 57 მან. და სრულიად: 204 მან. 67 კაბ. აქედან 35 მან. 50 კაბ. გეშე-ზავსე ქართულ სსსრელებს და სსსრე-ქეთ. განთოფ. ხაზინადარს აჭარულთა სსსრეებლოდ, 20 მან. დაუგრეე და-

კაღლობიე ომში წასრულ ვასის კაცთა უდარბეს ფასთ, **ქალაქის მრეკლები** 17 კაბ. გავსება **ქალაქის მრეკლები** სსსრელებს და სსსრელებს სსსრელებისათვის.

ტაგეო. ბლადინი, დეკანოზი. ი. მარკინი.

ს ი ა

იმ პირებისა, რომელთაც შეშვეობა აღმოუჩინეს ჩვენს აწიოკებულს მოძიე აქარლებს.

ტრიფან ასიანის ძე ვაფარაძემ 10 მან., მდღე. ზეტრე კახანიძემ 5 მ., იოსებ რ. ქველადემ 3 მ. გეგუვა ვაფარაშვილმა 3 მ., იოსებ ბათაძემ 1 მ., წყალბა არწუფამ 10 შური, ვადა-დომერ ჩაქვანმა 10 შ., მარ. ხეცოვე-მა 6 შ., იოსებ ებრაძემ 10 შ., ალექსან კარდაძემ 1 შ., ალექ. ქეთა-თელაძემ 1 მან., ზინგერის გან. მართ. ბ. ფარსადაშამ 1 მ., თელარე რამიშვილმა 10 შურე, სამოველ მხე-ლადემ 10 შ., მისიელ დაბრუნდაშვილმა 1 შ., ვანო ცხოვრებაშვილმა 5 შ., თავითე ცეცხლადემ 2 მან., ავგორ სე-ლიაშვილმა 2 მან., ვლადიმერ უჩხაყელ-მა 2 მამ, გრაფელ დეკანოზის 10 შ., რაფელ ხაშაძემ 1 მანეთი, ნო-შეკმა 1 მან., ნაჯ. სახარულიძემ 10 შ., გ. გეგუვა 1 მან., მ. იოსელიანი 1 მან., არ. დვინაშვილმა 10 შური, გ. მესხმა 1 მან, ვერნიკა ჭაჭანიძის ასულმა 1 მან., № 1 მან., კოსტან. იოსების ძემ მხედაქემ 1 მან., დავით გვაგალის ძემ ჟულაძემ 1 მან., იოსებ ვაქუაშვილმა 1 მ., ნოვე დავ ძე კიდაშვილმა 1 მ., იოსებ ბაჭყალიშვილ-მა 1 მ., ოსისიე შაჰაშვილმა 1 მან., ოსისიე ხაგვიანიშვილმა 1 მ., ბექტორ ულერმა 10 შ., ზაქარია გვაგალაძემ 1 მან., დავით ვითაძის 1 მ., ალექსან-სანდრე მეორესემ 10 შ., ტრიფან მხედაქემ 1 მან., ავგორ მახარაძემ 5 მან., ავეტის არტინოვმა 10 შ., ალექსანდრე ბარიშვილმა 1 მ., ირაკლი თომინაშვილმა 1 მან., ალექსან. სიმონ-იშვილმა 10 შ., კოსტაქე ჭეიძემ 10 შური, მისიელ დასარაშვილმა 1 მამ, ანხაბა სვანიძემ 10 შ., ბექტორ სხედაქემ 10 შ., დომიტრი სემონის ძემ გაბუნამ 2 მან., მისიელის რაიანის კომიტეტმა 30 მან., სარკულიტო ბან-კმა ხაშურისამ 20 მან. და იოსებ ვა-ქუაშვილმა 10 შ.,

სულ შეგროვდა 120 მ. და 1 შ. 10 შური ხარჯ. მოუნდა და დაწარჩინს 119 მან. 11 შურის გიგ-ზანით.

რედ. გამომც. ი. თ. ცინცაძე

თ. მთავრიშვილის და აბს.

წინისა და საპანცელარიო მალაზიამ დახმავდა და გასაყიდათ

გამოვიდა

„Цѣлебные минеральные источники въ Кута-исской губер.“ ц. 20 კ. კ. მაჭავარიანისა.

იმეკლება და მალე გამოვა ქართული ენის სახელმძღვანელო **ჩ ა მ შ უ ლ ს ი ტ ვ ე რ ე ბ ი თ ი ქ რ ი ს ტ ო მ ა ტ ი:** ჩვენნი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია, შედგენილი ს. რ. გორგაძის მიერ. იქვე იყიდება ყოველნაირი ქართული და რუსული ენის სახელმძღვანელონი, საყმაწვილო წიგნები, ახალი რუსული და ქართული ლიტერატურული ნაწარმოები, გეოგრაფიული ატლასები, კარტები და ყოველნაირი საქაცულარია ნივთები.

ა ბ ა ნ ო.

ს. ზეკარში, ბალათიდან 22 ვერსის მანძილზე 16 იენისიდან იწყებს წარმოებას გოგირდის თბილი წყლიანი აბანო, მშენიერად მოწყობილი ვანებითა და ოთახებით. აბანო მდებარეობს დიდებულათ შემკობილს ზუნებით ადგილზე, მშენიერის ტყის პირში დიდ გზაზე. 10 იენისიდან ბალათიდან ივლის 3 ცხენიანი, რიზინის თვლებიანი ეტლი, ნაშუად-ღვეის ორი საათიდან ყოველ დღეს. აბანოს ახლოს ახლო სოფელი და ლუქანიც, სიდაც იშოვება ყოველივე სანოვაგე. წყალი სპაგალითოდ მოქმედებს ავთამყოფებზე. უმეტესად ურმით მოყვანილი ავთამყოფი, რამოდენიმე ბანაობის შემდეგ, ბრუნდება უკან ჯანსაღი, ფხიით. აბანო კურნებს ნერვების სისუსტეს, რევმატიზმს, ვენერიულ ავთამყოფობას, ქაქების ტკივილს, ტანის ქვილს და სხვის.

აბანოს მოიჯარადრე ად. დვალაძემ. თ.